უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №50

2018წ. "20" 08

ქ.თბილისი

შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის შესახებ

დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2^1 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის 1^1 პუნქტის, 25-ე მუხლის მე-6 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტისა და 25^1-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა

1. შპს ევროპის უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 201954956) სტუდენტთა მიღების უფლება შეეზღუდოს 3 წლის ვადით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 აგვისტოს №09 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ევროპის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი